ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №911008

ნომერი: AR1156666

თარიღი : 22.08.2013

გაცემის თარიღი : 23.09.2013

გაცნობის თარიღი : 23.09.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5-7 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5-7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- პაატა ეზიეშვილი პ/ნ 35001007755
- რუსთავი გ.ლეონიძის ქ. კორ. 28 ბ. 31

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "ისეკო" კოდი: 406027838

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2011 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურს 2013 წლის 22 აგვისტოს #AR1156666 განცხადებით მომართეს მოქალაქეებმა პაატა ეზიეშვილმა, მალხაზ ისაკაძემ და გიორგი კობერიძემ. განმცხადებლებმა მოითხოვეს სამსახურის 2011 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 10 ნოემბერს ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩა #5-7–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.19.34.003.057; ფართობი: 27 600 კვ.მ) სასაწყობო და საწარმოო შენობა–ნაგებობების განთავსების მიზნით დამტკიცებული იქნა #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერებისა და საკადასტრო გეგმების თანახმად ირკვევა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა ორ საკადასტრო ერთეულად: #01.19.34.003.134 (ამონაწერის რეგისტრაციის #882013186809, მომზადების თარიღი: 30.04.13; საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882013186809, მომზადების თარიღი: 30.04.13; ფართობი: 4154.00 კვ.მ.) და #01.19.34.003.133 (ამონაწერის რეგისტრაციის #882013186835, მომზადების თარიღი: 30.04.13; საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882013186835, მომზადების თარიღი: 26.04.13; ფართობი: 24612.00 კვ.მ.), რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას სამსახურის 2011 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2011 წლის 10 ნოემბრის #1626 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 ნოემბრის #1626 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს: 4154.00 კვ.მ, 24612 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდებად მიეთითოს: #01.19.34.003.134 ; #01.19.34.003.133;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 ნოემბრის #1626 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საჯარო რეესტრში განაცხადის რეგისტრაციის #882013186809, მომზადების თარიღი: 30.04.13, საკადასტრო კოდი: ##01.19.34.003.134 და რეგისტრაციის #882013186835, მომზადების თარიღი: 30.04.13, საკადასტრო კოდი: #01.19.34.003.133) და საკადასტრო გეგმები (საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882013186809, მომზადების თარიღი: 30.04.13; საკადასტრო კოდი: #01.19.34.003.134 და რეგისტრაციის #882013186835, მომზადების თარიღი: 26.04.13; საკადასტრო კოდი: #01.19.34.003.133);
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 ნოემბრის #1626 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.